


პროფესიული განათლების რეფორმა

I ფაზა


რეფორმის მიმდინარეობის პირველი შეფასება 2017 წლის 4 ოქტომბერს გაიმართა. სამთავრობო კვლევამ აჩვენა, რომ 2013-2017 წლის სამოქმედო გეგმის 80 % შესრულებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ სრული, 2020 წლამდე გაწერილი რეფორმის 50 პროცენტია შესრულებული. კვლევამ, ასევე, აჩვენა, რომ 2013 წელს დაწყებულმა რეფორმამ სტრუქტურულად შეცვალა პროფესიული განათლების სისტემა და საფუძველი ჩაუყარა დუალურ სისტემას. თუმცა კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობის გარეშე სასურველი შედეგის მიღწევა გაჭირდება.

რეფორმა: პროფესიული განათლების რეფორმა

მთავრობა, 2017 ფაზა 1



შემფასებელთა ჯგუფმა რეფორმას 10 მაქსიმალური ქულიდან 5.76 დაუწერა.



შემფასებელთა ჯგუფის შეხვედრაზე, განათლების სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, 2013 წლის ჩათვლით პროგრამები იყო ხანმოკლე და 16 წლის ადამიანი გადიოდა შრომის ბაზარზე არასრულფასოვანი ცოდნით და მომზადებით. **პროგრამების ხანგრძლივობა გაიზარდა**, რამაც სტუდენტების რაოდენობის შემცირება გამოიწვია. იზრდება კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი წლიდან-წლამდე. თუმცა სამინისტროს მხოლოდ საჯარო კოლეჯების შესახებ აქვს ინფორმაცია. ახალი რეგულაციებით, ამიერიდან კერძო კოლეჯებსაც მოუწევს **სტატისტიკური ინფორმაციის** მიწოდება. აღსანიშნავია ისიც, რომ გაუმჯობესდა პროფესიულ განათლებაზე **გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა**. კოლეჯი არის ყველა რეგიონში და წელს კიდევ 3 ახალ ლოკაცია დაემატება.

სამინისტროსვე ინფორმაციით, მიმდინარეობს მუშაობა **კერძო და საჯარო სექტორის პარტნიორობის ფორმატის** შემუშავებაზე. უკვე დაწყებულია დუალური პროგრამები სოფლის მეურნეობის განათლების მიმართულებით და დაემატება 3 პროგრამა ტურიზმის მიმართულებით. აღინიშნა, რომ კერძო კოლეჯები ვაუჩერული დაფინანსების სისტემაში, უთანასწორო კონკურენციაში არიან საჯარო კოლეჯებთან. სამინისტრო **ვაუჩერული სისტემის** შეფასების პროცესშია. განიხილება შესრულებაზე დაფუძნებული (performance based) დაფინანსების სისტემაზე გადასვლა, სადაც მონაწილეობის მიღებას კერძო კოლეჯებიც შეძლებენ, თუმცა მოხდება პროფესიების გაფილტვრა. მნიშვნელოვანია, რომ ამიერიდან, დუალურ პროგრამებზე ავტორიზაციის პროცესში დამსაქმებელიც ჩაერთვება. ისინი, ასევე, შეაფასებენ სტუდენტის მომზადების დონეს.

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, **კერძო სექტორის ჩართვა** არაფორმალურ განათლების სექტორში გამოწვევაა მთელი მსოფლიოსთვის. კერძო სექტორი ხშირად თვლის, რომ განათლება და მათ შორის პროფესიული განათლება მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა. ამიტომ უნდა მოხდეს კერძო სექტორის ცნობიერების გაზრდა ამ მხრივ.

საჯარო კოლეჯების წარმომადგენლების აზრით, საქართველოში გვაქვს ბიზნესის ჩართულობის წარმატებული მაგალითები. თუმცა მათი მოტივაციის გაზრდისთვის, აუცილებელია უფრო **მოქნილი საგადასახადო კანონმდებლობა**. ასევე, აუცილებელია ბიზნესმა შეაფასოს სტუდენტი. აღნიშნული უკეთ აჩვენებს კერძო სექტორს, თუ რას აკეთებს კონკრეტული კოლეჯი და დარწმუნდნენ, რომ თვითონ აღარ მოუწევთ დამატებითი რესურსების დახარჯვა თანამშრომლების გადამზადებაში.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a
Time

ISSET

International School of Economics at TSU
Policy Institute



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

რეფორმის მიმოხილვა

პროფესიული განათლების რეფორმა

2017 - I

ReforMeter



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia



**MINISTRY OF EDUCATION AND
SCIENCE OF GEORGIA**

სტრატეგია
2013-2020

სამოქმედო
გეგმა

2013-2017

პროფესიული განათლების
რეფორმის სტრატეგია
2013-2020

ახალი სამოქმედო გეგმა
2018-2020



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

პროფესიული განათლების არსებული გამოწვევები

1. სოციალური პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები ჩართულობა
2. სახელმწიფო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სუსტი ქსელი და საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლები მრავალფეროვნება
3. საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლები შესაბამისობა შრომის ბაზრის ამჟამინდელ და სამომავლო მოთხოვნებთან
4. პროფესიული განათლების სფეროში პედაგოგიური კადრების მომზადების და შემდგომი პროფესიული განვითარების სისტემის არარსებობა



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

პროფესიული განათლების არსებული გამოწვევები

5. დაბალი და განსხვავებული ხარისხის პროფესიული კვალიფიკაციები;
დამსაქმებლებისა და საგანმანათლებლო ინსტიტუტების მხრიდან
კვალიფიკაციების აღიარების პრობლემა
6. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების დასაქმების
განსხვავებული პერსპექტივები
7. პროფესიული განათლება ნაკლებად მიმზიდველი და წამახალისებელი
ალტერნატივაა მოსახლეობისათვის



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



სტრატეგიის მიზნები

ზოგადი: მთავრობის პრიორიტეტების მხარდაჭერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის დამლევაში, ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობით

კონკრეტული:

1. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას
2. პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა მოსახლეობის ყველა ფენისთვის



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

სტრატეგიის პრიორიტეტები

1. პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესება შრომის ბაზრის და ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად
2. დაფინანსების ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება
3. პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადება და განვითარება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად
4. სოციალური პარტნიორების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა სისტემის ყველა დონეზე



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



სტრატეგიის პრიორიტეტები

5. პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება, ეფექტური და ტრანსფერული კრედიტების სისტემის განვითარება
6. კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების გაძლიერება, მათ შორის შშმ და სსსმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით
7. სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობით



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

სამთავრობო კვლევა

პროფესიული განათლების რეფორმა

2017 - I

ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a Time




რა არის სამთავრობო კვლევა?

სამთავრობო კვლევა – სპეციალური, შეთანხმებული კითხვარის საშუალებით ზომავს კონკრეტული რეფორმის გეგმის შესრულებას

სეგმენტი	აღწერა	აქტივობის მაგალითი	შედეგის მაგალითი
1. ინსტიტუციური მოწყობა	- წ ფუნქციების განაწილება - წ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	სტრატეგია	გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება
2. ადამიანური რესურსები	ადამიანური რესურსების მობილიზაცია და განვითარება	სააგენტოს ოპერაციონალური მოწყობა	ტრენინგები
3. ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი	- წ ბიუჯეტი - წ შენობა და მოწყობილობები	ბიუჯეტის მობილიზება	გრანტების გაცემა
4. კანონმდებლობა და რეგულაცია	საკანონმდებლო და რეგულატორული ჩარჩო	კანონმდებლობის ანალიზი	ახალი კანონი



რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით 2013-2017




0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულა

100% - გეგმა სრულად შესრულდა



ინსტიტუციური მოწყობა 2013-2017

ინსტიტუციური
მოწყობა




დასრულებული

- ✚ განხლდა პროფ. განათლების ეროვნული საბჭოს ფუნქციები და შემადგენლობა
- ✚ მოხდა დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი და ინტეგრირება პროფესიულ სტანდარტებში
- ✚ განახლა პროფესიული სტანდარტები ახალი მეთოდოლოგიის და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე
- ✚ ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განახლების მეთოდოლოგიის ანალიზი
- ✚ მომზადდა მოდულარული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების კონცეფცია და მეთოდოლოგია
- ✚ შემუშავდა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კონცეფცია და მოხდა მისი პილოტირება
- ✚ დამსაქმებელთა კმაყოფილების ყოველწლიური კვლევა დაიწერა



ინსტიტუციური მოწყობა 2013-2017

ინსტიტუციური
მოწყობა




პროცესშია ან არ დაწყებულია

- ✘ პროფესიულ სასწავლებლებსა და საწარმოებს შორის თანამშრომლობის მოდელების პილოტირება და შეფასება პროცესშია
- ✘ ინერგება მიზნობრივი ჯგუფებისთვის სტუდენტური სესხებისა და ხელშეკრულებების სისტემა
- ✘ თვითშეფასების დანერგვა სისტემის დონეზე პროცესშია
- ✘ არსებული პრაქტიკისა და რესურსების ინვენტარიზაცია შრომის ბაზრის ინფორმაციის შეგროვება-ანალიზისათვის არ მომხდარა
- ✘ კრედიტების სისტემა არაფორმალური განათლების აღიარებისათვის არ დანერგილა
- ✘ ევროპული ინსტრუმენტების შესწავლა და დანერგვა შერჩეულ პროფესიულ სფეროებში არ დასრულებულა
- ✘ დივერსიფიცირებული დაფინანსების მოდელი არ დანერგილა



კომპეტენციის გაძლიერება 2013-2017

კომპეტენციის
გაძლიერება




დასრულებული

- ✚ გადამზადდნენ პროფესიული განათლების მასწავლებლები საერთაშორისო მობილობის მოსამზადებელი პროგრამის მიხედვით
- ✚ მომზადდა საგანმანათლებლო რესურსები პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის
- ✚ მომზადდა ელექტრონული საგანმანათლებლო მასალები პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის
- ✚ ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: *სოციალური პარტნიორობა, შრომის ბაზრის კვლევა, მენეჯმენტი, ხარისხის უზრუნველყოფა, მონიტორინგი და შეფასება, ინკლუზიური პროფესიული განათლება*
- ✚ პროფესიული განათლების მასწავლებლები გადამზადდნენ მოდულარული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაში



კომპეტენციის გაძლიერება 2013-2017

კომპეტენციის
გაძლიერება



პროცესშია ან არ დაწყებულია

- ✘ გრძელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადება სისტემის დონეზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად
- ✘ იწერება ტრენინგები არაფორმალური განათლების აღიარებაში
- ✘ პროფესიული განათლების სფეროში შრომის ბაზრის ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისათვის კვლევის მეთოდოლოგია ჯერ არ შემუშავებულია




ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი

2013-2017

დასრულებული

ინფრასტრუქტურა
და ბიუჯეტი



- ▣ საგანმანათლებლო რესურსების ადაპტირდა შშმ და სსსმ პირებისათვის
- ▣ შეფასდა პროფესიული განათლების ვაუჩერული დაფინანსების სისტემა
- ▣ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება დაკავშირდა EMIS-თან
- ▣ მომზადდა და განხორციელდა პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გეგმა
- ▣ შეიქმნა ინფორმაციის მართვის ცენტრალიზებული სისტემა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის

პროცესშია ან არ დაწყებულია


- ▣ შრომის ბაზრის მონაცემთა ბაზა არ არის ხელმისაწვდომი კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სტრუქტურული ერთეულისათვის



სამართლებრივი ჩარჩო 2013-2017

დასრულებული

სამართლებრივი
ჩარჩო



- ✚ განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების შეფასება
- ✚ შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების ახალი წესი და მექანიზმები
- ✚ შემუშავდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ახალი წესი და პირობები, მოწყვლადი ჯგუფების, სსსმ და შშმ პირთა გათვალისწინებით


პროცესშია ან არ დაწყებულია

- ✚ არ მომზადებულია დივერსიფიცირებული დაფინანსების მოდელის დანერგვისათვის სამართლებრივი ბაზა
- ✚ არ განსაზღვრულა კერძო სექტორის მინიმალური სტანდარტი პრაქტიკისა და გამოცდების პროცესებში ჩართვისთვის
- ✚ არ შეცვლილა პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზა



რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით

2013-2017




0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულა

100% - გეგმა სრულად შესრულდა



რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით 2013-2020



0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულა

100% - გეგმა სრულად შესრულდა



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

რეფორმის ინდიკატორები

პროფესიული განათლების რეფორმა

2017 - I

ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a Time



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE




რეფორმის ინდიკატორები

1. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი
2. ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა
3. კურსდამთავრებულთა რაოდენობა
4. მასწავლებლების და სტუდენტების რაოდენობა
5. უმაღლესი განათლება vs. პროფესიული განათლება



1. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI 2017-2018)

- სპეციალიზირებულ ტრეინინგებზე ხელმისაწვდომობა
- თანამშრომლების გადამზადების პროგრამები



წყარო: Global Competitiveness Report 2017-2018




USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia


2. პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა (კერძო და საჯარო სასწავლებლები)



წყარო: საქსტატი; განათლების სამინისტრო



3.1 კურსდამთავრებულთა რაოდენობა სპეციალიზაციების და კერძო და საჯარო სასწავლებლების მიხედვით - 2016






USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

3.2 კურსდამთავრებულთა რაოდენობა სპეციალიზაციების და გენდერის მიხედვით 2016 (სულ კარმო და საჯარო სასწავლებლებში ერთად)




წყარო: GeoStat



ISSET
სა




3.3 კურსდამთავრებულთა რაოდენობა ტოპ 5 სპეციალიზაციის მიხედვით 2013-2016 (სულ კერძო და საჯარო სასწავლებლებში ერთად)



წყარო: GeoStat




4. მასწავლებლების რაოდენობა და სტუდენტების რაოდენობა ერთ მასწავლებელზე- 2013-2016 (კერძო და საჯარო სასწავლებლები ერთად)



წყარო: GeoStat



5. ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა: უმაღლესი განათლება vs. პროფესიული განათლება; პროფესიული სასწავლებლებში სტუდენტების წილი 2013-2016



წყარო: GeoStat



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA



Governing for
Growth
in Georgia

გმადლობთ!

მომზადებულია ISET Policy Institute-ის მიერ
reformeter@iset.ge